



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 34

2016 წლის 25 აპრილი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში 2017 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტების და საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს 1750 განკარგულების „რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტში 2017 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტები და საპროექტო წინადადებები დანართი № 1 (ერთი გვერდი) შესაბამისად და წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

